



სოფლის მეურნეობის
სამინისტრო-კვლევითი ცენტრი

ღორის მოშენება და დაცვადებათა პროფილაკტიკა



ფინანსებისათვის
თანხმური 2018

ლორი, საკუთარი თავისებურებებით, საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო ცხოველია, რომელიც ხასიათდება ადრემნიფადობით. იგი სქესობრივად 4-5 თვის ასაკში მწიფდება და 7-8 თვის ასაკიდან შესაძლებელია მისი პირველ დაგრილებაზე გაშვება. ინტენსიური სუქების დროს თანამე-დროვე ჯიშების ბურვაკებს 6-7 თვის ასაკში შეუძლიათ 100 კგ ცოცხალ მასას მიაღწიონ, ხოლო წლის გან-მავლობაში ერთი ძირითადი ნეზ-ვიდან 2-2,5 ჭონა ხორცის წარმოება შეიძლება. ერთი კგ ცოცხალი მასის მატებაზე 4,5-5 საკები ერთეული იხარჯება. ლორს ახასიათებს მაკეო-ბის მოკლე ჰერიონი, რომელიც სა-შუალოდ 115-118 დღეს გრძელდება (გაგრცელებული ფორმულა - 3+3+3, ნიშნავს 3 თვეს, 3 კვირას და 3 დღეს), რაც საშუალებას იძლევა წლის გან-მავლობაში ორი მოგება მივიღოთ, ხოლო გოჭების ადრე ასხლეტის შემთხვევაში - 2,1-2,3 მოგება. ლორი მრავალნაყოფიერი ცხოველია. თანამედროვე ჯიშები, საშუალოდ, 11-12 გოჭს გვაძლევენ, კაბური ღორი - 5-8-ს. ლორს ახასიათებს ნა-კლავის მაღალი გამოსავლიანობა, რაც ინტენსიური გამოზრდისას 75%-ს და მეტს შეადგენს, ხოლო ტანხორციდან ხორცის სუფთა გამო-სავალი - 55-60%-ს. ლორის ხორცს მაღალი ტექნოლოგიური თვისე-ბები ახასიათებს. იგი კარგად კონ-სერვდება, ამასთან, დამარილება და შებოლვა კი არ ამცირებს, არამედ, აუმჯობესებს პროდუქტის ღირებულებას.

ლორის სადგომის მოწყობა. მშენებლობისათვის უნდა შეირჩეს მშრალი ადგილი, სადაც გრუნტის წყალი 1 მ-ზე და უფრო ღრმად უნდა იყოს. ნალექის დროს სალორე ბინის ტერი-ტორია არ უნდა იტბორებოდეს. მისი ზედაპირი უნდა იყოს სწორი ან 50 დაქანებით.

ფერმის ოპტიმალური დაშორება მეზობელი ფერმიდან 120-150 მეტრია, ხოლო საავტომობილო მაგისტრალიდან - 150-300 მ. მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი ბინა პირუტყვის სადგომიდან 20 მეტრით მაინც უნდა იყოს დაშორებული.

შენობის ასაშენებლად გამოიყენება ადგილობრივი წარმოების იაფი საშენი მასალა. შენობა უნდა იყოს თბილი, ნათელი და კარგად ნიავდებოდეს. ლორის სულადობის განლა-გება მოსახერხებელი უნდა იყოს, რათა გაადვილდეს პირუტყვის მოვლა. ფერმის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს სათავსო საკებებისა და ქვეშსაფენისათვის, წყლის გამაცხ-ელებელი და სხვა. ჭერი კეთდება ნაკლებითბოგამტარი მასალისაგან (რკინა-ბეტონის ფილები, ხის მა-სალა, გარბილი და სხვა). კარი უნდა იყოს დათბუნებული, ხოლო შენობა - კირის ხსნარით შეთეთრებული. ფანჯრები უზრუნველყოფენ ბინის ბუნებრივ განათებას და საჭიროა იატაკიდან მათი დაცილება 1,2-1,5 მ-ით. ფანჯრების რაოდენობა და ზომა უნდა განისაზღვროს ბინის ფართის მიხედვით, 1:12 შეფარდებით. ნეზვების სადგომში დაცული უნდა იყოს ტემპერატურა +16-20°C, ახლადდაბადებული გოჭების (ერთი კვირის ასაკი) შენობაში - +28°C. ყოველ მომდევნო კვირაში ტემპერატურა მცირდება 2°C-ით. სასუქი მოზარდისათვის ოპტიმალური ტემპერატურა 14-20°C.

ჯიშის ამორჩევა. პროდუქტიულობის მიხედვით ღორის ჯიშებიდან ძირითადად სახორცე უნივერსალური მიმართულების ჯიშებს იყენებენ. მათთვის დამახასიათებელია მაღალი აღწარმოების, გასუქების უნარი და ხორცის მაღალი ხარისხი. რაც შეეხება სახორცე-საბეკონე მიმართულების ჯიშებს, მათთვის დამახასიათებელია, როგორც

მაღალი აღნარმოების და გასუქების უნარი, ასევე უმაღლესი ხარისხის ხორცი.

მჭლე ხორცის წარმოებისათვის უნდა ავირჩიოთ მეხორცული და საბეკონე ჯიშები ან მათი ნაჯვარები. ოურენი მიზანია გოჭების დიდი რაოდენობით მიღება, მაშინ უნდა ავირჩიოთ უნივერსალური მიმართულების ჯიშები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დედისეული და მამისეული ჯიშების სწორად შერჩევას.

თანამედროვე ღორის ჯიშებიდან დედისეულ ჯიშებად რეკომენდაციას უწევთ ლანდრასის (დანიური, გერმანული ან შვედური), მსხვილი თეთრ და იორქშირის ჯიშებს, ხოლო მამისეულ ჯიშებად - დიუროკის (ამერიკული, კანადური ან ევროპული), ჰემპშირის და პეტრენის ჯიშებს.

მომთაბარე მელორეობის ზონაში (აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე) არსებული ნაყოფისმომცემი ტყეები) აუცილებელია გადაშენების პირზე მისული კაბური ღორის და მათი ნაჯვარების გამოყენება დაბალი თვითძლიერებულებისა და მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე მჭლე ხორცის მისაღებად.

ამ რეკომენდაციების გამოყენებით ეფექტიანი შედეგების მისაღებად აუცილებლად მიგვაჩინა მელორეობის დარგში ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა.

ხურაობის გამოვლენა და პირველ დაგრილებაზე გაშვება. გაუნაყოფიერებელი ნეზვი ხურაობაში მოდის ყოველი 18-23 დღის შემდეგ. მას ეტყობა მოუსვენრობა, საკვებს ცუდად იღებს. სქესობრივი რეფლექსი პირველად დენის სახით მუდავნდება. ამ დროს ნეზვის სასქესო პაგები შეწილებული და ოდნავ შეშუცებულია. სასქესო გზებიდან გამჭვირ-

ვალე სითხე (ლორწო) გამოიყოფა. ნეზვი მოუსვენარ მდგომარეობაშია, მაგრამ კერატს არ იკარებს, რაც იმის ნიშანია, რომ მას ნდომა ჯერ არ დაწყებია. ნდომის დაწყების შემთხვევაში იგი თავისუფლად უჩერდება კერატს და მზად არის შესაწყვილებლად. ნეზვებში ხურაობის პროცესი 48-60 საათს გრძელდება. ზრდასრული ნეზვებისათვის განაყოფიერების საუკეთესო დროა ნდომის დაწყებიდან 24 საათი, ხოლო ახალგაზრდა ნეზვებისათვის - 30 საათი. ზურგზე ხელით დაწოლისას და ზედ დაჯდომის დროსაც კი, უძრავ მდგომარეობაში რჩებიან. ნეზვების დაგრილებას ახდენენ ორჯერ ერთ ახურებაში, 10-12 საათის ინტერვალით. ნეზვები, რომლებიც დაგრილებიდან 32 დღის განმავლობაში არ მოვლენ ახურებაში, პირობითად მაკედ ითვლებიან. თუ ნეზვი მაინც მოვა ახურებაში, იგი სხვა კერატით უნდა დავაგრილოთ.

ნეზვებში პირველი დაგრილების ასაკია 8-11 თვე. უფრო ადრე დაგრილება ნეზვის დაკინიხებას იწვევს, დაგვიანება - გადასუქებას, რაც შეიძლება უნაყოფობის მიზეზიც გახდეს.

ღორის კოლტის აღნარმოება, კვება და მოზარდის გამოზრდა. კოლტის აღნარმოება შეიძლება იყოს მარტივი ან გაფართოებული. მარტივი აღნარმოების დროს კოლტში ღორის სულადობა წლის განმავლობაში არ იზრდება, ხოლო გაფართოებულის შემთხვევაში ითვალისწინებენ მეტი რაოდენობით ცხოველის ჩართვას კოლტიდან გასულთან შედარებით. კოლტში ერთ-ერთი მთავარი ამონცანაა ძირითადი ნეზვების ინტენსიური გამოყენება, მათგან, როგორც წესი, წლის განმავლობაში ორი მოგების მიღება და ყოველი ნეზვიდან 18-20 ასხლეტილი გოჭის გამოზრდა. ძირითად ნეზვს იყენებენ მანამ, ვიდრე მისი პროდუქტიულობა შემცირებას არ დაიწყებს, რაც 6-8 მოგების შემდეგ შეიმჩნევა.

კერატის კვების ნორმა. კერატის კვება დიდ გავლენას ახდენს მისი რეპროდუქციის უნარსა და ხარისხზე. საზრდო ნივთიერებებზე კერატის კვების მოთხოვნილება დამოკიდებულია მის ცოცხალ მასაზე, ასაკზე, დატვირთვაზე. ინტენსიური დატვირთვის დროს კერატი საჭიროებს დიდი რაოდენობით საზრდო ნივთიერებებს, განსაკუთრებით - მონელებად პროტეინებს, ამინომჟავებს, მინერალურ მარილებს და ვიტამინებს. აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა შემდეგი კვების ულუფა: ულუფის სტრუქტურაში კონცენტრატის ნარევის ხევდრითი წილი 70-75% უნდა იყოს; მნვანე და ნენიანი საკვების - 20-25%, ბალაბის ფქვილის - 5%, ცხოველური ნარმოშობის საკვების - 5%. მაგალითად, 220 კგ წონის კერატი დატვირთვის შემთხვევაში დღეში საჭიროებს 4,5 საკვებერთეულს, 600 გრ მონელებად პროტეინს, 23 გრ სუფრის მარილს, 30 გრ კალციუმს, 21 გრ ფოსფორს და 70 მგ კარიოტინს.

შრალი და მაკე ნეზვის კვება-მოვალა. კვება და მოვლა დიდ გავლენას ახდენს ნეზვის მრავალნაყოფიერებაზე, ცურის განვითარებასა და შემდგომ შერქეულობაზე, აგრეთვე, მისაღები გოჭების რაოდენობაზე, მსხვილნაყოფიერებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე. ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია ნეზვის ხორმალური კვების შემთხვევაში, როცა მათი მოთხოვნილება საზრდო ნივთიერებზე მთლიანად კმაყოფილდება.



სურათი 1. მაკე ნეზვი

ნეზვი მუდამ საშუალო ნაკვებობის მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს. მის მრავალნაყოფიერებასა და მერქეულობაზე უარყოფითად მოქმედებს მეტისმეტი გასუქება ან სიგამხდრე. არასაკმარისად ნაკვებ მშრალ ნეზვს საკვები უნდა გაეზარდოს 15-20%-ით. ამავე დროს არ შეძლება მისი საკვებით გადატვირთვის და გადასუქების დაშვება, როს გამოციგი ცუდად ნაყოფიერდება, შეიმჩნევა ემბრიონული სიკვდილიანობა ან იბადება წვრილი, ნაკლებსიცოცხლისუნარიანი გოჭები.

როგორც ნესი, ნეზვს აგრილებენ პირველი სქესობრივი ახურების დროს, გოჭის ასხლეტიდან მე-4-5 დღეს. სარემონტო სანეზვეს პირველ დაგრილებაზე 8-11 თვის ასაკში უშვებენ. მაკე ნეზვის კვება, ისევე როგორც დასაგრილებლად მოსამზადებელი ნეზვისა, უნდა იყოს სრულფასოვანი და ნორმირებული. ნეზვის მოთხოვნილება საზრდო ნივთიერებებზე დამოკიდებულია მის ასაკზე, ცოცხალ მასაზე, მაკეობის პერიოდსა და შენახვის პირისებზე. მაგალითად, ორნლამდე ნეზვს, რომლის ცოცხალი მასა 150 კგ-ია, მაკეობის პირველ პერიოდში ესაჭიროება: 39 მეგაჯოული (მჯ) სამიმოცვლო ენერგია, 450 გ მონელებადი პროტეინი, უჯრედანა - 456 გ, ამინომჟავალიზინი - 24 გ, მეთიონინი+ცისტინი - 17 გ, სუფრის მარილი - 19 გ, კალციუმი - 25 გ, ფოსფორი - 17 გ; ვიტამინები: კაროტინი - 27 მგ, ვიტამინი D - 1250 (საერთაშორისო ერთეული), რიბოფლავინი - 11,4 მგ, ვანტოთეინის მჟავა - 46 მგ, ნიკოტინის მჟავა - 76 მგ, ვიტამინი B - 12-76 მკგ.

მაკეობის მეორე პერიოდში მას ესაჭიროება: 43 მჯ, მონელებადი პროტეინი - 510 გ, უჯრედანა - 504 გ, ამინომჟავალიზინი - 28,2 გ, მეთიონინი+ცისტინი 20,2 გ, სუფრის მარილი - 21 გ, კალციუმი - 35 გ,

ფოსფორი - 22 გ, ვიტამინები: კაროტინი 30 მგ, ვიტამინი D - 1720 საერთაშორისო ერთეული, რიბოფლავინი - 12,6 მგ, პანტოთენის მჟავა - 50 მგ, ნიკოტინის მჟავა - 82 მგ, ვიტამინი B 12 - 107 მკგ.

მაწოვარი ნეზვის კვება და მოვლა. მაწოვარი ნეზვის მოთხოვნილება ენერგიასა და საზრდო ნივთიერებებზე მაკე ნეზვთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია. პრაქტიკაში იშვიათად გვხდება შემთხვევა, რომ მაწოვარი ნეზვი სუქდებოდეს. პირიქით, ლაქტაციის პერიოდში რძის ნარმოსაქმნელად ისინი ხარჯავენ ორგანიზმის შიგა რეზერვებს: (ცხიმს, პროტეინს, ნაცრის ელემენტებს, ვიტამინებს. ამიტომ მაწოვარი ნეზვი ისე უნდა ვკვებოთ, რომ ცხოველქმედებასა და რძის ნარმოქმნაზე მისი ორგანიზმის დანახარჯი მთლიანად დაიფაროს. მაწოვარი ნეზვის არასაკმარისი კვება მათი მერძეულობის და ლაქტაციის პერიოდის შემცირებას იწვევს. მაწოვარი ნეზვისათვის მაღისა და კარგი ფიზიოლოგიური მდგომარეობის მუდმივად შენარჩუნებისათვის, მათთვის უნდა შედგეს სრულფასოვანი და მრავალფეროვანი ულუფა.

საზრდო ნივთიერებებზე მაწოვარი ნეზვის მოთხოვნილება დამოკიდებულია მათ ასაკზე, ცოცხალ მასაზე, მერძეულობასა და გოჭების რაოდენობაზე, აგრეთვე მათ ინდივიდუალურ და ჯიშობრივ თავისებურებებზე. საშუალო ნასუქობის სრულასაკოვან მაწოვარ ნეზვს, 100 კგ ცოცხალ მასაზე გადაანგარიშებით, დღეში სჭირდება 1,5 კგ საკვები ერთეული, ხოლო ახალგაზრდა მოზარდ ნეზვს - დაახლოებით 2 საკვები ერთეული. გარდა ამისა, ნეზვის მიერყოველ გამოკვებილ გოჭზე დამატებით საჭიროა 5 მჯ.



სურათი 2. მაწოვარი ნეზვი

მაგალითად, 130 კილოგრამი ცოცხალი მასის მქონე მაწოვარი ნეზვის სადღელამისო ულუფა ითვალისწინებს 60 მჯ, მონელებად პროტეინს - 690 გ, უჯრედანას - 600 გ; ამინომჟავებს: ლიზინი - 43,2 გ, მეთიონინი+ცისტინი - 29 გ, სუფრის მარილი - 3 გ, კალციუმი - 38 გ, ფოსფორი - 25 გ; ვიტამინი D - 2950 საერთაშორისო ერთეული, რიბოფლავინი - 24 მგ, პანტოთენის მჟავა - 89 მგ, ნიკოტინის მჟავა - 147 მგ, ვიტამინი B - 120-147 მკგ .



სურათი 3. კახური ჯიშის ნეზვები გოჭებთან ერთად

ასხლეტილი გოჭის გამოზრდა. ასხლეტილ გოჭს კვებავენ დღეში სამჯერ, განსაზღვრულ დროს. უმჯობესია ასხლეტიდან 10-15 დღის განძავლობაში გოჭები შევინახოთ იმავე დოლფარაში ბუდობრივად, სადაც ისინი იმყოფებოდნენ ნოვების პერიოდში. ეს ხელს უწყობს მათ ახალ რეჟიმზე მიჩვევას. შემდეგ, ცხოველებს აჯგუფებენ ცოცხალი

მასისა და განვითარების მიხედვით და გადაკეთებულ შენახვაზე, არაუმეტეს 50 სულისა ერთად. სასურველია, რომ ცოცხალი მასის მხრივ ჯგუფში სხვაობა არ იყოს 2-3 კგ-ზე მეტი. ოთხ თვემდე მოზარდი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. კერძოდ, საკვები ულუფა უნდა შეიცავდეს: მონელებად ვროტების, ამინომჟევებებს, მინერალურ ნივთიერებებს, ვიტამინებს და სხვ. კონცენტრირებულ საკვებთან ერთად უნდა მიეცეთ წვინაზი საკვები, მოთიბული იოზჯა, თივის ფქვილი, მოხდილი რძე, შრატი და თევზის ან სოიას ფქვილი.

სახორცე სუქებაზე 3-4 თვის მოზარდი დგება და სუქება 7-8 თვის ასაკში მთავრდება, როდესაც ერთი სულის ცოცხალი მასა 100-110 კგ-ს აღწევს. სუქების ეს ტიპი ეკონომიკურად ხელსაყრელია, რადგან ერთი კგ-ის მატებაზე 40-50 მჯ იხარჯება. სუქების პირველ პერიოდში დღელამური წვინამატი უნდა იყოს 350-400 გ, შეუა პერიოდში - 550-600 გ, სუქების ბოლო პერიოდში - 600-700 გ.



სურათი 4. კახური ღორის ბუდე

მელორეობის, ისევე როგორც მეცხოველეობის სხვა დარგების განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებენ დაავადებები, რომელთა შედეგად ძალზე დიდია ეკონომიკური ზარალი. კერძოდ, მცირდება ხორცის წარმოება, პროდუქტიულობის მაჩვენებლები (წამატის მიღება,

წონამატი), ხანგრძლივდება გამოზრდისა და სუქების პერიოდები, იზრდება საკვების დანახარჯი ერთეული პროდუქციის წარმოებაზე. დიდია დანაკარგები ღორის სიკვდილის ან იძულებით დაკვლის გამო. გარდა ამისა, ზოგიერთი დაავადება ანთორპოზონობისა და სერიოზულ სიფათს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. ამდენად, ღორის დაავადებათა პროფილაქტიკას დიდი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს.

ღორის ძირითადი დაავადებები

ნითელი ქარი მწვავე ან ქრონიკული ფორმით მიმდინარე ინფექციური დაავადებაა, რომლის აღმდერელია ბაქტერია - *Erysipelotrix insidiosa*. ინფექციის გავრცელების წყაროა დასნებოვნებული ან კლინიკურად ჯანმრთელი, მაგრამ აღმდერელის მატარებელი ღორი, აგრეთვე - მლრღნელები.

ინფექციის გადაცემის ფაქტორებია საკვები, სასმელი წყალი, მოვლის საგნები, ავადმყოფი ცხოველის გამონაყოფებით დაინფიცირებული ნიადაგი. წითელ ქარს ახასიათებს სეზონურობა (გაზაფხული-ზაფხული-შემოდგომა). უპირატესად ავადდება 3-12 თვის ასაკის ღორები. მის გავრცელებას ხელს უწყობს გარემოს მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა, ღორების მჭიდროდ შენახვა დახუთულ, ცუდად ვენტილირებად შენობებში.

ორგანიზმში ალიმენტარული ან კანის გზით შეჭრილი ბაქტერიები, შესაბამისად, ნანლავის ნუშისებრ და დაზიანებული უბნის ლიმფურ კვანძებში ხვდებიან. შემდეგ ისინი სისხლსა და პარენქიმულ ორგანოებში გადაინაცვლებენ, სადაც ინტენსიურად მრავლდებიან. მათი

ცხოველმყოფელობის ტოქსიკური პროდუქტების ზემოქმედების შედეგად სეფსისური პროცესი ვითარდება, რომლისთვის დამახასიათებელია დისტროფიული ცვლილებები ორგანოებსა და ქსოვილებში, რეტიკულო-ენდოთელიარული სისტემის ბლოკად, ანტისხეულების სინთეზისა და ფაგოციტური დაცვის დათრგუნვა. სისხლძარღვების ენდოთელიუმის დისტროფიულ ცვ-



წითელი ქარი

ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა ერთიდან რვა დღემდე მერყეობს. დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობას ახასიათებს სხეულის ტემპერატურის უცარი მატება 42°-მდე ან უფრო მეტად. ცხოველი არ იღებს საკვებს და სუსტდება. დამახასიათებელია ციებ-ცხელება, გულის მუშაობის დარღვევა, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ატონია და ყაბზობა. ზოგჯერ აღინიშნება პირღებინება. ღორს გადაადგილება უჭირს. ჟულსი აჩქარებულია (100 დარტყმა ნუტში), ხოლო სუნთქვა - გართულებული, ფილტვების შეშუპების გამო. ყბათაშორის, კისრის და მუცელის მიდამოში კანის ზედაპირი ციანოზურია. ზოგჯერ თავის, კისრის ზედა, ზურგისა და გვერდების კანის ზედაპირზე სხვადასხვა ზომის ლია ვარდისფერი ლაქები ჩნდება, რომლებიც შემდეგ მუქ წითელ ფერს იქნენ. დაავადება 2-4 დღე გრძელდება და მკურნალობის ჩაუტარებლობის შემთხვევაში ცხოველი კვდება. უკეთეს შემთხვევაში მწვავე

ლილებებს თან სდევს თრომბების ნარმოქმნა, შეშუპებები, შეგუბებები პარენქიმულ ორგანოებსა და კანზე, რაც ქსოვილოვანი ცვლის დარღვევას და ნეკროზულ დაზიანებებს იწვევს. შემდეგ გულის უკმარისობა და ფილტვების შეშუპება ვითარდება, რაც ლეტალური შედეგის მიზეზი ხდება.

სურათი 5-6.



ფორმა ქვემთვავე, შემდეგ ქრონიკულ მიმდინარეობას იძენს.

დაავადების ქრონიკული ფორმა ენდოკარდიტით, ართრიტით და კანის ნეკროზით ვლინდება. ენდოკარდიტი თანდათანობით ვითარდება, რასაც ახლავს გულის მუშაობის დარღვევა, პროგრესირებადი სისუსტე, შეგუბებითი მოვლენები კანზე, სიგამხდრე და ანემია. გულის უკმარისობის მოვლენების ფორზე შესაძლოა ღორი უცრად დაიღუპოს.

დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტოლოგიური მონაცემებისა და კლინიკური ნიშნების საფუძველზე, აგრეთვე ლაბორატორიული გამოკვლევით. ამ მიზნით მიკროსკოპით იკვლევენ გრამის ნესით შეღებილ, პარენქიმული ორგანოებიდან მომზადებულ ნაცხებს.

მკურნალობისათვის იყენებენ წითელი ქარის სანინაალმდეგო შრატს და ანტიბიოტიკებს. მკურნალობის ეფექტი გაცილებით მაღალია თუ

ანტიბიოტიკს შრატში ანზავებენ. შრატი შეჰყავთ კუნთებში, ღოზით 1-1,5 მლ/კგ ცოცხალ მასაზე. თუ მდგომარეობა არ უმჯობესდება, 8-12 საათის შემდეგ მკურნალობის კურსს იმეორებენ.

დაავადების პროფილაქტიკისათვის მიმართავენ ვაქცინაციას, რომელსაც უტარებენ 2-4 თვის ასაკის გოჭებს.

ჭირი ინფექციური დაავადებაა. მისი ალმძვრელია ვირუსი, რომელიც გამოიჩინა დასწრუვნების მაღალი უნარით, აგრეთვე მდგრადობით გარემო ფაქტორების მიმართ. კერძოდ, გაცივებულ ხორცში იგი სიცოცხლის უნარს 2-4 თვის განმავლობაში ინარჩუნებს, გაყინულში - რამდენიმე წელს, შაშხში - 1-2 თვეს, დამარილებულში - 315-320 დღეს. ოთახის ტემპერატურაზე მყოფ სისხლსა და შრატში ვირუსი ცოცხალი რჩება სამი თვის განმავლობაში, ხოლო ნიადაგის ზედაპირზე, მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედების შედეგად, 3-5 დღის შემდეგ იღუპება. მასზე დამლუპველად მოქმედებს 2-3%-იანი მწვავე ტუტის ხსნარი, ახალჩამქრალი ან ქლორიანი კირისაგან მომზადებული 15-20%-იანი კირის რძე.

ჭირის ამთვისებელია ყველა ჯიშისა და ასაკის შინაური, აგრეთვე ყველა სახეობის გარეული ღორი. ინფექციის წყაროა ავადმყოფი ცხოველი, აგრეთვე - დაავადებამოხდილი, რომელიც ვირუსმატარებელია. დაავადებული ცხოველის ორგანიზმიდან ვირუსი შარდთან და ცხვირის გამონადენთან ერთად გამოიყოფა. ინფექციის გადაცემის ფაქტორებია იძულებით დაკლული ღორის ნაკლავი, სუბპროდუქტები, ლეშები, ხორცყომბინატისა და სამზარეულოს გაუვნებელი ანარჩენები,

ავადყოფი ან ვირუსმატარებელი ცხოველების გამონაყოფებით დაინფიცირებული საკვები, სარწყულებლები, საძოვრები, მოვლის საგნები, მომვლელი პერსონალის ტანსაცმელი და სხვ.

ჯანმრთელი ღორი ავადდება ავადმყოფ ცხოველთან უშუალო კონტაქტით ან ალიმენტარული გზით. დასწრუვნება შესაძლებელია წლის ნებისმიერ ღორის, მაგრამ უპირატესად - შემოდგომაზე, როდესაც ხდება ღორის სახორცედ ჩაბარება და ამ მიზნით მისი გადაადგილება.

ორგანიზმში მოხვედრილი ჭირის ვირუსი სისხლის გზით მთელ ორგანიზმი ვრცელდება, მაგრამ ძირითადად ლიმფურ კვანძებში, ძვლის ტვინში, ნაწლავის ლორნოვან გარსში და სისხლძარღვების ენდოთელიუმში კონცენტრირდება. მისი გამრავლების შედეგად ვითარდება ლორნოვანი გარსების სეროზულ-ჰემორაგიული ანთება, ზიანდება სისხლძარღვები, რის შედეგად ჩნდება მრავლობითი სისხლჩაქცევები, წარმოიქმნება ნეკროზული კერები ლიმფურ კვანძებში, ნაწლავებსა და კანზე, აგრეთვე ინფილტრატი თავისა და ზურგის ტვინში. დავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობის ღროს სიკვდილი განპირობებულია ყველა, განსაკუთრებით სისხლის მიმძუცვებისა და სისხლნარმოქმნის სისტემებში განვითარებული მძიმე მორფოლოგიური ცვლილებებით. გარდა ამისა, ჭირის ღროს ხდება ნივთირებათა ცვლის ძლიერი მოშლა, რასაც ახლავს ცილების, ნუკლეინის მჟავებისა და სხვა აზოტ-შემცველი ნაერთების ინტენსიური დაშლა. შედეგად, დიდი ოდენობით წარმოიქმნება ციანიდების ტიპის მომწამლავი ნივთიერებები, რაც ტოქსიკოზს და ცხოველის სიკვდილს იწვევს.



სურათი 7-8. ლორის ჭირი

ინკუბაციური პერიოდის ხან-გრძლივობა 1-9 დღეა. დაავადება მიმდინარეობს მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული ფორმით, მეძუძურ გოჭებში - ელვისებრი ფორმით.

მწვავე ფორმის დროს სხეულის ტემპერატურა $40,5-41^{\circ}$ -მდე მატულობს. ციებ-ცხელებას მუდმივი ხასიათი აქვს. მადა დაქვეითებულია. აღინიშნება პირლებინება, ყაბზობა, ფალარათი. კონიუნქტივა - ჰიპერემიულია, ქუთუთოები - შემუშებული და შეწიბებული ლორნოვან-ჩირქოვანი ექსუდატით. ლორი ტაატით მოძრაობს, გრილ ადგილს ეძებს და უპირატესად ქვეშაფენშია ჩაფლული. შარდვის პროცესი გართულებულია. ზოგჯერ შარდი მუქი ყავისფერ შეფერილობას იძენს. დაავადების მეხუთე-მეექსე დღეს კანზე წერტილოვანი სისხლჩაქცევები ჩნდება, რომლებიც შემდეგ მუქი მეწამული ფერის მქონე ლაქებად ფართოვდება. გულის მუშაობა შესუსტებულია, სუნთქვა - გახშირებული და გართულებული. ყურები, დრუნჩი, მუცელი და კუდი გალურჯებულია. ზოგჯერ ალინიშნება ცხვირიდან სისხლდენა, კრუნჩჩები, უკანა კიდურების პარეზი ან დამბლა. მეშვიდე-მეათე დღეს ლორი იღუპება. ლეტალობა $80-100\%-ს$ აღნევს. ელვისებრი

ფორმისათვის დამახასიათებელია ციებ-ცხელება, დაძაბუნება, პირლებინების შეტევები. დაავადების გამოვლენიდან ორ დღეში გოჭი კვდება.

ქვემწვავე და ქრონიკული მიმდინარეობები ვირუსის ვირულენტობის შემცირების შედეგია. ამ დროს სხეულის ტემპერატურა ჰერიოდულად მატულობს. ალინიშნება ყაბზობა, რომელიც ფალარათით იცვლება. ცხოველი გამხდარია. კანზე ნარმოიქმნება ეგზემატოზური და ზიანებები. სეკუნდარული ინფექციის შედეგად დაავადება პნევმონიით რთულდება. ლორი ახველებს, სუნთქვა გართულებულია, ჩნდება გამონადენი ცხვირიდან. იგი განლეულია, უპირატესად ნევს, კანი დაფარულია ეგზემატოზური ქერქებით. ქვემწვავე ფორმის დაავადების ხარგვალივობა $2-3$ კვრაა, ქრონიკულის დროს - $4-6$ კვირა. ლეტალობის მაჩვენებელი, შესაბამისად, 60 და $30\%-ს$ შეადგენს.

ლორის ჭირზე დიაგნოზი დგინდება ეპიზოოტოლოგიური მონაცემების, კლინიკური ნიშნების, აგრეთვე ლაბორატორიული სადიაგნოსტიკო გამოკვლევისა და გაკვეთის შედეგების საფუძველზე, რომელსაც ვეტერინარი სპეციალისტი ატარებს.

ჭირით დაავადებული ღორის მკურნალობა არ არის მიზანშე-ნონილი. ხელოვნური იმუნიტეტის შექმნისათვის მიმართავენ ვაქცინა-ციას.

აფრიკული ჭირი (მონტგომერის დაავადება) მწვავედ მიმდინარე კონ-ტაგიოზური დაავადებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ციებ-ცხელება, სხვადასხვა ორგანოს ჰემორაგიული ანთება და მაღალი ოფტალმობა. ავადდება ყველა ასაკის ღორი წლის სეზონის, შენახვის სისტემისა და პირობების მიუხედავად. ამთვისებელია გარეული ღორიც.

დაავადების აღმძვრელია ვირუსი. იგი კარგად ვითარდება ლეიკოციტებში, ძვლის ტვინის უჯრედებში და ინვეს მათ ცვლილებებს, რის შედეგად ეს უჯრედები ერითროციტებს ადსორბირებენ და მათ ლიზის ახდენენ.

აღმძვრელი ძლიერ გამძლეა გარემო ფაქტორების მიმართ. ავადმყოფი ღორის შარდში, 4° ტემპერატურაზე იგი სიცოცხლის უნარს 60 დღის განმავლობაში ინარჩუნებს, ფეკალში - 160 დღეს, გაყიდულ ხორცსა და 2° ტემპერატურაზე შენახულ ძვლის ტვინში - 150 დღეს. აფრიკული ცხელების ვირუსით დაინიფიცირებული ნიადაგი ინფექციის გადაცემის ფაქტორია ოთხ-ხუთი თვის განმავლობაში. მის ინაქტივაციას ინვეს 2%-იანი მწვავე ნატრიუმის ზემოქმედება.

ჯანმრთელი ღორი ავადდება დასწებოვნებულ ღორთან კონტაქტით, აგრეთვე სასაკლაოს, ხორცის გადამუშავებელი და კვების მრეწველობის საწარმოების გაუვნებელი ანარჩენების, ასევე დაინფიცირებული სხვა საკვებით მისი კვებისას. აღ-

მძვრელის გადატანა შესაძლებელია Ornitodhoros-ის გვარის ტკიპების მიერაც.



სურათი 9. აფრიკული ჭირით დაავადებული ბურვაკი

ორგანიზმში შეჭრილი ვირუსი სისხლძარღვებისა და ლიმფური სადინარების ენდოთელურ უჯრედებში ხვდება, სადაც მრავლდება, რაც მის გაფაშრებას და ქსოვილებში სითხის გამოსვლას ინვევს. შედეგად, ვითარდება შეშუპება, ხდება სისხლძარღვების დახშობა შემდგომი სისხლჩაქცევებით, რასაც თან სდევს ქსოვილების, გულის, თირკმელების, სხვა ორგანოების მუშაობის დარღვევა, სისხლის შეგუბება და პერიკარდიუმში, გულმკერდისა და მუცელის ღრუებში ექსუდატის დაგროვება.

დაავადება მწვავე და ზემწვავე ფორმებით მიმდინარეობს. ინკუბაციური პერიოდი 2-3 დღე გრძელდება. მისი პირველი ნიშანია სხეულის ტემპერატურის მატება 40,5-42°-მდე, რაც ცხოველის სიკვდილამდე ნარჩუნდება. პირველი ორი დღის განმავლობაში ღორი აღზინებულია. ალინიშნება ქუთუთოების შეშუპება და კატარული კონიუნქტივიტი წერტილოვანი სისხლჩაქცევებით. თვალის შიდა კუთხეში

ქერქების სახით რუხი ყავისფერი ექსუდატი გროვდება. დაავადების გამოვლენა მესამე-მეოთხეს დღეს ძლიერდება. ლორი უხალისოდ გადაადგილდება, უმეტესად წევს. მას ალენიშნება კუნთების კანკალი, ლორნოვან-სეროზული გამონადენი ცხვირიდან, ხველა, ქოშინი, სუნთქვა გახშირებულია, პულსი - აჩქარებული, არარითმული. ხილულ ლორნოვან გარსებს მოლურჯო ფერი გადაჰკრავს. ავადობის ბოლოს მკვეთრად არის გამოხატული კანის (ციანოზი), განსაკუთრებით ყურებზე, დინგზე, ლაპაბის, მუცლის ქვედა ნაწილის მიდამოებში და კუდზე. კანი მენამულ-იისფერ შეფერილებას იძენს. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე ლორი საკვებს აღარ იღებს. ყურის ნიჟარას კანზე თხილის ზომის ჰემატომები ჩნდება. შემდეგ, ამ ადგილებში ნეკროზი ვითარდება. აღინიშნება პირლებინება, გამოხატულია გასტრიტისა და კოლიტის ნიშნები. დეფეკაციის აქტი მტკინეულია. ფეხალური მასა სისხლს შეიცავს. ზოგიერთ შემთხვევაში ალინიშნება მენინგონცეფალიტის ნიშნები, რასაც ახლავს კრუნჩებები და დამბლა. დაავადება 3-4 დღეს, ზოგჯერ ერთ კვირამდე გრძელდება და სიკვდილით მთავრდება.

დიაგნოზი დგინდება კლინიკური ნიშნების, აგრეთვე ლაბორატორიული სადიაგნოსტიკო გამოკვლევისა და გაკვეთის შედეგების საფუძველზე, რომელსაც ვეტერინარი სპეციალისტი ატარებს.

აფრიკული ჭირის მკურნალობა და ვაქცინაცია არ არის შემუშავებული.

ასკარიდოზის გამომწვევია ჰელმინთი (პარაზიტული ჭია) — *Ascaris suum*, რომლის ზრდასრული ფორმები წვრილ ნაწლავებში პარაზიტობენ, ხოლო ლარვული ფორმები ღვიძლს და ფილტვებს აზიანებენ. უპირატესად ავადდება შინაური და გარეული ლორის მოზარდეული, განსაკუთრებით - მეძუძური გოჭები.

ასკარიდები სქესგაყოფილი, თითისტარისებრი ფორმის ჰელმინთებია. მამრის სხეულის სიგრძე 10-20 სმ-ია, მდედრის - 23-30 სმ.

წვრილ ნაწლავებში მდედრი ასკარიდები დებენ კვერცხებს, რომლებიც გამოიტანება გაერმოში, სადაც სელშემწყობი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში მათში 2-3 კვირაში ინვაზიური ლარვები ვითარდებიან. გოჭის დაინვაზიება ხდება ძუძუს წოვის დროს ან საკვებთან ერთად ასკარიდას ინვაზიური კვერცხის გადაყლაპვით. ნაწლავში მოხვედრილი კვერხებიდან ლარვები იჩეკებიან, რომლებიც ნაწლავის კედლის სისხლძარღვებში შეიჭრებიან და სისხლის გზით ჯერ ღვიძლში, შემდეგ ფილტვებში ხვდებიან. ისინი ნახველთან ერთად ამოიტანებიან პირის ლორუში, გადაიყლაპებიან და ნაწლავში სელმეორედ მოხვედრილნი ზრდასრულ სტადიას აღწევენ.



სურათი 10. ღორის ასკარიდა

მიგრაციისას ლარვები აზიანებენ სისხლძალვებს, ქსოვილებს. მათი ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები ალერგიულ რეაქციებს იწვევენ. სისხლძალვებში შეჭრისას ისინი გზას უსხნიან ნაწლავურ მიკროფლორას, რომლებიც ლარვებთან ერთად ფილტვებში ხვდებიან, რაც ჩირქოვანი პნევმონიის განვითარების მიზეზი ხდება. ნაწლავში ზრდასრული ასკარიდების დიდი ოდენობით დაგროვება იწვევს ნაწლავის დახშობას, გადახლართვას, ზოგჯერ - გასკარიდებას, რასაც პერიტონიტი მოსდევს. ასაკარიდების მიერ გამოყოფილი ტოქსინები ძლიერ გავლენას აზდენენ ნერვულ სისტემაზე, აფერხებენ ორგანიზმის ზრდა-განვითარებას.

დაავადების სასწის ეტაპზე ვლინდება ასკარიდოზული პნევმონია, რა დორსაც მატულობს სხეულის ტემპერატურა, მადა დაქვეითებულია, სუნთქვა - გახშირებული. აღინიშნება ხველა, მოუსვენრობა. შესაძლოა განვითარდეს კონვულსიური მოვლენები. ბურვაკებს კლინიკური ნიშნები გამოხატული არ აქვთ, თუმცა ისინი ძლიერ გამხდრები არიან და ჩამორჩებიან ზრდა-განვითარებაში. ასკარიდოზით დაავადებული გოჭის ნონამატი 30%-ით ჩამორჩება



სურათი 11. ასკარიდები ნაწლავში ჯანმრთელის ნონამატის.

დიაგნოზის დასადგენად კოპროლოგიურ გამოკვლევას სპეციალისტი ატარებს.

სამჯურნალოდ გამოიყენება ნილვერმი, პანაკური ან ფენბენ-დაზოლის ჯგუფის პრეპარატები. ვინაიდან ასკარიდოზი ანტისანიტარიული პირობებით გამოწვეული დაავადებაა, გოჭის გამოზრდისას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს კვებისა და მოვლა-შენახვის ჰიგიენური ნორმების დაცვას.

მეტასტრონგილოზის აღმძვრელებია - *Metastrengylus elongatus*, *M.pudendotectus* და *M.salmi*, რომლებიც შინაური და გარეული ღორის ბრონქებსა და ბრონქიოლებში პარაზიტობენ. ავადდებიან 4-6 თვის და უფრო ხნიერი ასაკის ღორები.

მეტასტრონგილუსები სქესგაყოფილი, ძაფისებრი ფორმის, მოთეთრო-მოყვითალო ფერის ჰელმინთებია. მამრების სხეულის სიგრძე 15-25 მმ-ია, მდედრის - 20-55 მმ.

ლოკალიზების ადგილებში მეტასტრონგილუსები დებენ კვერცხებს, რომლებიც შეიცავენ გაფორმებულ ლარვებს. კვერცხები ნახველთან ერ-

თად ამოიტანება პირის ღრუში,

გადაიყლაპება და შემდეგ გარემოში ხვდება. მათ ყლაპავენ ჭიაყელები, რომელთა ორგანიზმი კვერცხები-დან ლარვები იჩეკებიან, მუსკულა-ტურაში ჩაიბუდებენ და ინგაზიურ სტაფიამდე ვითარდებიან. ლორის დაინვაზიება ხდება მეტასტრონგი-

ლუსის ლარვებით დაინვაზიებული ჭიაყელების შეჭმის შედეგად. მისი კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ჭიაყელა მოინელება, ხოლო გამოთავისუ-ფლებული ლარვები გააღწევენ ნაწ-ლავის კედლის სისხლძარღვებში და სისხლის გზით ფილტვებში მიი-ტანებიან, სადაც ზრდასრულ სტა-დიას აღწევენ.



სურათი 12. მეტასტრონგილუსები



სურათი 13. მეტასტრონგილოზით დაავადებული ლორის ფილტვი

საქართველოში მეტასტრონგილოზი გავრცელებულია ყველგან, მაგრამ უპირატესად დაბლობ და მთისწინეთის რაიონებში, სადაც ლორებს მომთაბარე პირობებში ინახავენ.

ლორის დაინვაზიება შესაძლებელია სალორეშიც, თუ იატაკი დაზიანებულია ან შეიცავს ლრეჩიობებს, ორმოებს, სადაც ფერალისა და მიწის ნარევში უხვად ბინადრობები ჭიაყელები. დაავადება ვლინდება წლის ნებისმიერ დროს, მაგრამ უპირატესად, - ზამთარსა და გაზაფხულზე.

ლორის ორგანიზმში მიგრაციისას ლარვები აზიანებენ ნაწლავის კედელს, ლიმფურ კვანძებს, არღვევენ კაპილარების, ბრონქიოლების მთლიანობას და ინვაზენ მათ ანთებას. მეტასტრონგილუსებისა და

მათი ლარვების ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები ლორის ორგანიზმზე ტოქსიკურად მოქმედებენ და ალერგიულ რეაქციებს იწვევენ.

გოჭებს აღენიშნებათ მსუბუქი ხველა, რომელიც შემდეგ ძლიერდება, განსაუთრებით მოძრაობის დროს. ნესტოებიდან გამოიყოფა სქელი, მოყვითალო ფერის გამონადენი, ალინიშნება ქოშინი. ლორნოვანი გარსები ჯერ ფერმკრთალი, შემდეგ ციანოზურია, პულსი - აჩქარებული. ცხოველი შესაძლოა ასფიქსიით დაიღუპოს. გოჭები ზრდა-განვითარებაში ჩამორჩებიან. მოზოდილ ლორებში მეტასტრონგილოზი კლინიკური გამოვლინების გარეშე მიმდინარეობს.

დიაგნოზის დასადგენად კოპროლოგიურ გამოკვლევას სპეციალისტი ატარებს.

სამურნალოდ გამოიყენება ნილვერმი, პანაკური ან ფენბენ-დაზოლის ჯგუფის პრეპარატები. მეტასტრონგილოზის პროფილატიკის საუკეთესო საშუალებაა ღორის შენახვის სტაციონარული სისტემის დაწერვა. საღორის იატაკი მტკიცე და დაუზიანებელი უნდა იყოს.

ტრიქინელოზი ქრონიკული ფორმით მიმდინარე დაავადებაა, რომლის



სურათი 14. ზრდასრული

ტრიქინელას ლარვები დიდ გამძლეობას იჩენენ გარეშო ფაქტორების მიმართ. ლპობად ხორცში ისინი ინვაზიურ თვისებებს ინარჩუნებენ ოთხი თვის განმავლობაში, ხანგრძილვად ძლებენ -10° ტემპერატურის პირობებში, ხოლო -30° ტემპერატურაზე ღორის ნაკლავში 52-64 საათის შემდეგ იხოცებიან. სუსტად დამარილებულ და გამხმარ ხორცში, აგრეთვე შაშში ისინი სიცოცხლის უნარს წლობით ინარჩუნებენ. იმის გამო, რომ ადამიანი ტრიქინელოზის მძიმე ფორმით ავადდება, რაც

აღმძვრელია ჰელმინთი - *Trichinella spiralis*. ტრიქინელოზით ავადდებიან შინაური და გარეული ღორები, ძალლი, კატა, თაგვი, ვირთხა, გარეული ხორცისმჭამელების მრავალი სახეობა, აგრეთვე, ადამიანი.

ტრიქინელები სქესგაყოფილი, მცირე ზომის ჰელმინთებია. მდედრი ინდივიდის სხეულის სიგრძე 3-4 მმ-ია. მამრის - 1,4-1,6 მმ. ზრდასრული ტრიქინელები პარაზიტობენ ცხოველებისა და ადამიანის ნერვილ ნაწლავებში, მათი ლარვული ფორმები - იმავე ორგანიზმის კუნთებში.




სურათი 15. ტრიქინელას ლარვა ტრიქინელები

შესაძლებელია ლეტალურად დამთავრდეს, დაინვაზიების ხარისხის მიუხედავად ტრიქინელოზიანი ხორცი უნდა განადგურდეს.

ტრიქინელოზით ღორი ავადდება ტრიქინელების ლარვებით დაინვაზიებული ხორცის ან მცირე მლრდნელების ლეშების შექმით. მის საქმლის მომნელებელ ტრაქტში კუნთოვანი ქსოვილი მოინელება, ხოლო გამოთავისუფლებული ლარვები 45 საათის შემდეგ სქესობრივ სიმწიფეს აღწევენ. მდედრი

ინდივიდები, რომლებიც ცოცხლად-მშობებია, განაყოფიერების შემდეგ შეიჭრებიან თორმეტგოჯა ნაწლავის ლორნოვან გარსში და ლარვებს შობენ. ლარვები ხვდებიან სისხლის მიმოქცევის სისტემაში და სისხლის გზით კუნთებში მიიტანებიან, სადაც ბოჭკოვებს შორის სპირალურად ჩაიძუდებენ და დაახლოებით 20 დღის შემდეგ ინვაზიურ სტადიას აღწევენ. 1,5-2,5 თვის შემდეგ მათ ირგვლივ კაფსულა ყალიბდება.



სურათი 16. ტრიქინელას ლარვებით დაინვაზიებული ხორცი

სპონტანურად დაინვაზიებულ ღორებში ტრიქინელოზი უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ტრიქინელას ლარვების გამოვლენა შესაძლებელია ღორის დაკვლის შემდეგ, ნაკლავის ვეტერინარიულ-სანიტარიული გამოკვლევისას, რომელსაც სპეციალისტი ატარებს.

ტრიქინელოზის მეურნალობა შემუშავებული არ არის. დაავადების პროფილაქტიკის მიზნით სასურველია ღორის შენახვის სტაციონარული სისტემის დანერგვა. დაუშვებელია ღორის ყოლა სასაკლაონების ტერიტორიაზე, მისი უკონტროლო გადაადგილება დასახლებულ პუნქტებში ან ნაგავსაყრელებზე სუქება.

ბალანტიდიოზის გამომწვევია ინფუზორია - *Balantidium coli*, რომელიც პარაზიტობს ღორის მსხვილ ნაწლავებში. მათი ცისტები მრგვალი ფორმისაა, ზომით 40-85 მიკრონის ფარგლებში, და გარედან დაფარულია ნამწამებით.

ბალანტიდიოზი გავრცელებულია იქ, სადაც მოზარდეულს ანტისანიტარიულ და ნესტიან პირობებში ინახავენ. ავადდება 2-3 დღიდან 6-7 თვის ასაკში მოზარდეული. დავადება უპირატესად შემოდგომისა და ზამთრის თვეებში ვლინდება.

ნაწლავის სანათურში ბალანტიდიები საკვების ანარჩენებით და მიკროფლორით იკვებებიან. ნაწლავში არეს შეცვლის შემთხვევაში ისინი ლორნოვან გარსში და უფრო ღრმად, სისხლძარღვებსა და ლიმფის სადინარებში შეიჭრებიან, სადაც ერითროციტებით, ლეიკოციტებით და მათი შეჭრის შედეგად გამოწვეული ანთების პროდუქტებით იკვებებან.

ბალანტიდიები გაყოფით და კონიუგაციის გზით მრავლდებიან, რაც ანთებით პროცესს კიდევ უფრო აძლიერებს. ჩნდება სისხლჩაქცევები და ზედაპირული ეროზიები, რაც მიკროფლორით როზულდება. შედეგად, ირღვევა ნაწლავის სეკრეტორული და მოტორული ფუნქცია, ვითარდება ინტრესიკაცია და ხშირად ცხოველი იღუპება.


დაავადების მწვავე ფორმით მიმდინარეობისას, მეორე-მესამე დღეს მატულობს სხეულის ტემპერატურა, ჩნდება ფალარათი. ფეკალი ჯერ განყალებულია, შემდეგ შეიცავს ლორნოს, სისხლს; აქვს მორუხო-მოყავისფრო შეფერილობა და მძაფრი სუნი. პალპაციისას მუცელის კედელი მტკივნეულია, ფერდები - ჩაცვენილი, სუნთქვა - აჩქარებული.

კანი დანაოჭებულია, ჯაგარი - აჯა-გრული. გოჭები უმტესად წვანან, ფეკალი უნებურად გამოიყოფა. დაავადების მეცუთე-მექქსე დღეს ძლიერდება წყურვილის გრძნობა. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ცხოველი კვდება. ბალანტიდიოზის იოლი ფორმით მიმდინარეობისას ცხოველი შესაძლოა გამოჯანმრთელდეს.

ფიაგნოზი დგინდება კლინიკური ნიშნების, აგრეთვე ფეკალის კოპროლოგიური (ნატიური ნაცხის მეთოდი) გამოკვლევით, რომელსაც სპეციალისტი ატარებს.

ბალანტიდიოზთან ერთად ჰელმინთოზების გამოვლენისას ჯერ პანაკურით (0,015 გ/კგ) ან ფენბენ-დაზოლის ჯგუფის სხვა პრეპარატებით ატარებენ დეპელმინთაზაციას. მალალი თერაპიული მოქმედებით გამოიჩინა ტილანი, ორმელსაც ცხოველს ხსნიან წყალში და აძლევენ საკვებთან შერეულს დოზით - 0,00125 გ/კგ ორჯერ სამი დღის განმავლობაში. ვეტდიპასფენი 30 დღის გოჭებს ეძლევა დოზით 0,125 გ/კგ, 31-60 დღის ასაკისას - 0,250, 61-120 დღისას - 0,375 და 120 დღეზე უფრო ხნიერ მოზარდეულს - 0,725 გ/კგ დღეში ერთხელ ორი დღის განმავლობაში. შვიდი დღის შემდეგ პრეპარატს განმეორებით აძლევენ იგივე დოზებით სამი დღის განმავლობაში. გარდა ამისა, ბალანტიდიოზის სამ-

კურნალოდ იყენებენ ოსარსოლს, იოდინოლს, ნიფულინს, მეტრონიდაზოლს, ფურაზილიდონს სხვა პრეპარატებს.



სურათი 17. ბალანტიდიოზის ალმდვრელი - *Balantidium coli*

ბალანტიდიოზის პროფილაქტიკურ ლონისძიებათა შორის უმთავრესია ლორის, მათ შორის მოზარდეულის მოვლა-შენახვის ვეტერინარიულ-სანიტარიული მოთხოვნებისა და კვების ჰიგიენური ნორმების დაცვა. ბალანტიდიოზის მიმართ არაკეთილ-სამედო მეურნეობაში გოჭებს ასე-ლეტამდე 2-3 დღით ადრე უნიშნავენ სამკურნალო პრეპარატებს (ფურაზოლიდონი, მეტრონიდაზოლი, ვეტ-დიპასფენი და სხვ.) განახევრებული დოზით.

უფრო ვრცელი განმარტებებისა და კონსულტაციებისათვის მოცემულ თემაზე შეგიძლიათ

მიმართოთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრს!

0159, საქართველო თბილისი,

მარშალ გელოვანის გამზ. №6

შემდგენლები: როლანდ მიტიჩაშვილი, შადიმან ფოცხვერია



სოფლის მეურნეობის
სამსახური-კვლევითი ცენტრი
www.srca.gov.ge